

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარას
საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარეს, ბატონ ივანე კილურაძეს

ქ. თბილისში, 2012 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული მრგვალი მაგიდის,
„ძეგლთა დაცვის სფეროში შექმნილი კრიზისული ვითარება: ახალი რეალობა – ახალი
გამოწვევები/შესაძლებლობები“ მონაწილეების

მიმართვა

2012 წლის 26 ოქტომბერს ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნულ კომიტეტში (ICOMOS საქართველო) შედგა მრგვალი მაგიდა პროექტის: „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ფარგლებში. შეკრების მონაწილე, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა განიხილეს ძეგლთა დაცვის სფეროში ბოლო წლებში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა და მიიღეს წინამდებარე მიმართვის ტექსტი:

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები მივესალმებით საქართველოს ახალი მთავრობის, მათ შორის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის განცხადებას, რომ ამიერიდან ნებისმიერ სფეროში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნება პროფესიულ წრებთან მჭიდრო კონსულტაციებისა და ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობის საფუძველზე.

ეს განცხადება განსაკუთრებულ მნიშვნელოვანებას იძენს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა პროფესიონალთა საკმაოდ დიდი ნაწილის აზრის ანგარიშგაუწევლად. ამან მიგვიყვანა ისეთი პროექტების განხორციელებამდე, რამაც გამოიწვია არქიტექტურული და ურბანული მემკვიდრეობის შეუქცევადი დანაკარგები: რეაბილიტაციის სახელით თბილისის უძველეს უბნებში ავთენტური მოცულობების განადგურება, ახალციხეში

რაბათის სიყალბით გაჯერებული პროექტის განხორციელება, თელავის ისტორიული ნაწილის იდენტობის დაკარგვა და ბატონის ციხის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ნგრევა, იქვე მიმდინარე მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა და სხვა მრავალი.

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული საქართველოს სამი ძეგლიდან ბოლო პერიოდში ორი უკვე გადატანილია საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში. 1999 წლის შემდეგ კი, ქვეყანას არ წარუდგენია არცერთი ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს დარგში შექმნილ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში რეფორმის განხორციელების აუცილებლობაზე; რომელიც უნდა მოიცავდეს: მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკას, ინსტიტუციურ მოწყობას, საკანონმდებლო გარემოს, ძეგლთა დაცვითი მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ყურადსაღებია ისეთი საკითხები, როგორცაა: მემკვიდრეობის მდგომარეობის მონიტორინგი საქართველოს მიერ არაკონტროლებად ტერიტორიებზე, მემკვიდრეობის განვითარების პროგრამების ინტეგრირება ქვეყნის სამომავლო გეგმებში, პროფესიონალთა აზრის და საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა მემკვიდრეობის მართვის პროცესში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ რეფორმა განხორციელდება გეგმაზომიერად და დაეფუძნება კულტურის ეროვნული პოლიტიკის სიღრმისეულ კონცეფციასა და გრძელვადიან სტრატეგიას. ასევე აღვნიშნავთ, ამ დარგში მიმდინარე საერთაშორისო და ადგილობრივი პროგრამებისა, თუ ინიციატივების კოორდინაციის აუცილებლობას, კერძოდ, ისეთ პროგრამებთან, როგორცაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა, თანამშრომლობა ურბანული განვითარებისა და დიალოგისთვის, მსოფლიო ბანკის ტურიზმის განვითარების პროექტები და ა.შ.

საჭიროდ მივიჩნევთ, მიმდინარე ფართომასშტაბიანი პროექტების სასწრაფოდ გადახედვას, რათა, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არასწორი ჩარევით გამოწვეული დანაკარგები. ეს პროექტები არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი პროფესიონალების და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან.

კიდევ ერთხელ მივესალმებით ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს და გამოვთქვამთ მზადყოფნას, აქტიურად ვითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისი. 26.10.2012

ICOMOS საქართველო
თბილისი 0105, ბეთლემის აღმართი 16ბ,
rcchd@icomos.org.ge, info@icomos.org.ge
ტელ.: 298 45 27, მობ.: 599551697

მონაწილეთა სია:

მერაბ ბოჭოიძე. არქიტექტორ-რესტავრატორი, ICOMOS საქართველოს გამგეობა
bochoidze@icomos.org.ge

ნატო ცინცაბაძე. არქიტექტორ-რესტავრატორი, ICOMOS საქართველოს გამგეობა
tsintsabadze@icomos.org.ge

ლია ბოკუჩავა, არქიტექტორი, ICOMOS საქართველოს გამგეობა
bokuchava@icomos.org.ge

ირაკლი კორძახია, იურისტი
irakli.kordzakhia@kjlaw.ge

ნინო კორძახია, არქიტექტორ-რესტავრატორი
nkordzakhia@yahoo.co.uk

მაკა დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე, „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი „ისტორიალი“
maka@gaccgeorgia.org

მარინე მიზანდარი. ხელოვნებათმცოდნე, „პლატფორმა ცვლილებებისთვის“
marine.mizandari@gmail.com

ირინე ელიზბარაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა“
irine_elizbarashvili@yahoo.com

მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა“
m_suramela@yahoo.com

ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა“
cichach@yahoo.com

კახა ტრაპაიძე, „საქართველოს მემკვიდრეობა“
kakhatrapaidze@gmail.com

მაია მანია. არქიტექტურის ისტორიკოსი
maia_mania@hotmail.com

ნიკოლოზ ზაზუნაშვილი. არქიტექტორ-რესტავრატორი
nzazunishvili@yahoo.com

ნინო გუნია-კუხნეცოვა, Council of Europe/ERICarts, "Compendium of Cultural Policies & Trends in Europe", ნაციონალური ანგარიშის ავტორი
YTA union-OISTAT საქართველოს ნაციონალური ცენტრი
ninogunia@yahoo.com

ნესტან თათარაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი
nestant@yahoo.com